სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება №01-09-10/59

ქ. თბილისი 06 05 2020 წ.

"2019-2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ" სტუ-ის 2020 წლის 28 იანვრის №01-09-10/19 ბრძანების ცვლილების შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, "ახალ კორონავირუსთან დაკავშირებით პრევენციულ ღონისძიებათა განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2020 წლის 27 თებერვლის №296 ბრძანების, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის №1 დეკრეტის, „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის №2 ბრძანების, საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 22 აპრილის №5688-სს დადგენილება „საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 აპრილის №2 ბრძანების დამტკიცების შესახებ", "საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების, „საგანგებო მდგომარეობის მოქმედების პერიოდში საგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის განხორციელების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 მარტის №205 დადგენილების მე-2 მუხლის შესაბამისად, ასევე „ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებზე გადაყვანის შესახებ" სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 23 მარტის №01-05-04/67 დადგენილების, „სასწავლო კურსებში სტუდენტთა მინიმალური დადებითი შეფასებების შესახებ" სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №01-05-04/73 დადგენილებისა და „საქართველოს ტექნიკური

უნივერსიტეტის 2019-2020 სასწავლო წლის მეორე სემესტრის ჩატარების ვადების ცვლილების შესახებ“ სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2020 წლის 29 აპრილის №01-05-04/74 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

I. „2019/2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ” სტუ-ის 2020 წლის 28 იანვრის №01-09-10/19 ბრძანებაში (შემდგომში ბრძანება) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი, მე-2, მე-4, მე-6, მე-8 – მე-11 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. 2019-2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სააუდიტორიო მეცადინეობები (ლექცია, პრაქტიკული, ლაბორატორია, სემინარი და ა.შ.) უმაღლესი განათლების ყველა საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტებისათვის, გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა (ბაკალავრიატი), როგორც წესი, ჩატარდეს 2020 წლის 24 თებერვლიდან 2020 წლის 27 ივნისის ჩათვლით.”

„2. როგორც წესი, სასწავლო კომპონენტში შუასემესტრული გამოცდა (არსებობის შემთხვევაში) ჩატარდეს მე-11 სასწავლო კვირაში – 2020 წლის 18 მაისიდან 22 მაისის ჩათვლით; მიმდინარე აქტივობები შეფასდეს შესაბამის სილაბუსში მითითებულ კვირებში; დასკვნითი გამოცდები ჩატარდეს მე-20 და 21-ე კვირებში – 2020 წლის 20 ივლისიდან 01 აგვისტოს ჩათვლით, ხოლო დამატებითი გამოცდები – 22-ე კვირაში, 2020 წლის 03 აგვისტოდან 08 აგვისტოს ჩათვლით; ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში, მიმდინარე შეფასებების აღდგენა და დოკუმენტური მასალის ჩაბარება მოხდეს მე-17, მე-18 და მე-19 კვირებში – 2020 წლის 29 ივნისიდან 18 ივლისის ჩათვლით; ხოლო შუასემესტრული გამოცდების აღდგენა – მე-20 და 21-ე კვირებში – 2020 წლის 20 ივლისიდან 01 აგვისტოს ჩათვლით, შესაბამის დასკვნით გამოცდამდე, დეკანატთან/საგამოცდო ცენტრთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე (იხ. დანართი 1).”

„4. დოქტორანტურის კომპონენტში – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ დისერტაციის წინასწარი დაცვა ჩატარდეს მე-8, მე-9 და მე-10 სასწავლო კვირებში – 2020 წლის 27 აპრილიდან 16 მაისის ჩათვლით (იხ. დანართი 1).”

„6. პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩატარდეს 2020 წლის 29 ივნისიდან (იხ. დანართი 2).”

„8. სასწავლო კომპონენტის (სასწავლო კურსი, თემატური სემინარი, პრაქტიკა და სხვა) წამყვანი პროფესორი ვალდებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ სტუდენტთა შეფასების ელექტრონულ უწყისში (შემდგომში – ელექტრონული უწყისი, იხ. დანართი 3) სტუდენტთა მიმდინარე აქტივობის შეფასების, შუასემესტრული გამოცდის (არსებობის შემთხვევაში), დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის (გარდა საგამოცდო ცენტრში ჩატარებული გამოცდებისა) შედეგები შეიტანოს არაუგვიანეს შეფასების/გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო კვირის ბოლომდე.“

„9. უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი ვალდებულია ელექტრონულ უწყისში შეიტანოს კომპიუტერულ ცენტრში ჩატარებული შუასემესტრული გამოცდის, დასკვნითი ან/და დამატებითი გამოცდის შედეგები არაუგვიანეს გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო კვირის ბოლომდე.“

„10. მაგისტრანტის ხელმძღვანელი/დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ვალდებულია კვლევითი კომპონენტის (დოქტორანტურაში – აგრეთვე თემატური სემინარის) შეფასების შედეგი შეიტანოს ელექტრონულ უწყისში (იხ. დანართი 4-5) არაუგვიანეს შესაბამისი შეფასების/დაცვის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო კვირის ბოლომდე."

"11. სემესტრის ბოლოს, არაუგვიანეს დამატებითი გამოცდის ჩატარების ბოლო ვადის მომდევნო კვირის ბოლომდე, სასწავლო კომპონენტის წამყვანი პროფესორი, მაგისტრანტის ხელმძღვანელი, დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ელექტრონული უწყისის ამონაბეჭდზე (2 ეგზ.) ხელმოწერით დაადასტურებს მონაცემებს და წარადგენს აკადემიურ დეპარტამენტში; დეპარტამენტში რეგისტრირებული უწყისი გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს."

ბ) ბრძანების პირველი, მე-2 და მე-3 დანართები ჩამოყალიბდეს წარმოდგენილი სახით (იხ. დანართი).

გ) გაუქმდეს ""2019-2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო განრიგის შესახებ" სტუ-ის 2020 წლის 28 იანვრის №01-09-10/19 ბრძანების ცვლილების შესახებ" სტუ-ის 2020 წლის 02 მარტის №01-09-10/44 ბრძანების პირველი პუნქტის ბ) და გ) ქვეპუნქტები.

II. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ვიცე-რექტორს (ლ. კლიმიაშვილს).

III. ბრძანება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

IV. ბრძანება გამოკრულ იქნეს თვალსაჩინო ადგილებზე და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

V. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

რექტორი დავით გურგენიძე

დანართი 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

2019-2020 სასწავლო წლის მეორე (გაზაფხულის) სემესტრის სასწავლო გრაფიკი

(გარდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობით განსახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა)

სწავლების საფეხური	24 -29 თებერვალი	02 - 15 მარტი	16 - 21 მარტი	23 - 28 მარტი	30 მარტი - 04 აპრილი	06 - 11 აპრილი	13 - 18 აპრილი	20 - 25 აპრილი	27 აპრილი - 02 მაისი	04 - 09 მაისი	11 - 16 მაისი	18 - 22 მაისი	25 - 30 მაისი	01 - 06 ივნისი	08 - 13 ივნისი	15 - 20 ივნისი	22 - 27 ივნისი	29 ივნისი - 04 ივლისი	06 - 11 ივლისი	15 - 18 ივლისი	20 - 25 ივლისი	27 ივლისი - 01 აგვისტო	03-08 აგვისტო
კვირა	I	-	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XI	XII	XIII	XIV	XV	XVI	XVII	XVIII	XIX	XX	XXI	XXII
სასწავლო კომპონენტები																							
ბაკალავრიატი მაგისტრატურა დოქტორანტურა	სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები	სასწავლო პროცესის შეჩერება (ბრძ. №01-09-10/446 02.03.2020)	სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები									შუასემესტრული გამოცდები (არსებობის შემთხვევაში)	სააუდიტორიო მეცადინეობები, მიმდინარე აქტივობები					მიმდინარე აქტივობების აღდგენა, დოკუმენტური მასალის ჩაბარება, პრაქტიკა		შუასემესტრული გამოცდების აღდგენა, პრაქტიკა, სესიები (დასკვნითი გამოცდები)		დამატებითი გამოცდები
სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტები																							
მაგისტრატურა	კვლევა	სასწავლო პროცესის შეჩერება (ბრძ. №01-09-10/446 02.03.2020)	კვლევა															დოკუმენტური მასალის ჩაბარება			სესიები (დასკვნითი შეფასებები/ დაცვები)		იხ. დანართი 2
დოქტორანტურა (გარდა კომპონენტისა "დისერტაციის დასრულება და დაცვა")	კვლევა		კვლევა																				
დოქტორანტურა ("დისერტაციის დასრულება და დაცვა")	დისერტაციის დასრულება		დისერტაციის დასრულება, დისერტაციის წინასწარი დაცვისათვის მზადება							დისერტაციის წინასწარი დაცვა		დისერტაციისა და ავტორეფერატის წარდგენა სადისერტაციო საბჭოში									დისერტა-ციის დაცვა		იხ. დანართი 2

დანართი 2

სტუდენტთა მიღწევების შეფასება

I. სასწავლო კომპონენტი

1. სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება პროგრამის თითოეულ კომპონენტში უნდა მოიცავდეს შუალედურ და დასკვნით შეფასებას.
2. შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, პრაქტიკისა და საბაკალავრო ნაშრომის გარდა, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – 40.
3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4. შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი:
   - დასკვნითი შეფასების მინიმალური დადებითი ქულაა: ბაკალავრიატში – მაქსიმალური შეფასების 25%, ხოლო მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში – მაქსიმალური შეფასების 50%;
   - შუასემესტრული გამოცდის მაქსიმალური შეფასებაა 30 ქულა;
   - მიმდინარე აქტივობების მაქსიმალური ჯამური შეფასებაა 30 ქულა;
   - ბაკალავრიატში შუალედური შეფასებების (შუასემესტრული გამოცდა და მიმდინარე აქტივობები) მინიმალური ჯამური დადებითი შეფასებაა 22,5 ქულა; მაგისტრატურასა და დოქტორანტურაში, შუალედური შეფასების ორი კომპონენტის არსებობისას – 30 ქულა, ხოლო ერთი კომპონენტის არსებობისას – 15 ქულა.
5. სასწავლო კურსში (საგანში) ერთი თემატური პროექტის არსებობისას მისი შეფასების მაქსიმალური ქულაა 15; ორი თემატური პროექტის არსებობისას პირველი თემატური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულაა 5, ხოლო მეორე თემატური პროექტის შეფასების მაქსიმალური ქულა – 10.

   საკურსო სამუშაოს/საკურსო პროექტის მაქსიმალური შეფასებაა 15 ქულა.
6. სასწავლო კურსში ერთი თემატური პროექტის არსებობისას იგი ჩაბარდება სააუდიტორიო მეცადინეობების დამთავრების შემდეგ, სესიებამდე სამი კვირის განმავლობაში; ორი თემატური პროექტის არსებობისას პირველი თემატური პროექტი ჩაბარდება შუასემესტრული გამოცდებისათვის გამოყოფილ კვირაში, ხოლო მეორე – სესიებამდე სამი კვირის განმავლობაში.
7. ელექტრონულ უწყისში მითითებული უნდა იყოს, თუ შუალედური შეფასების რომელ კომპონენტში მოეთხოვება სტუდენტს დოკუმენტური მასალის (ლაბორატორიული სამუშაო, პრაქტიკული სამუშაო, ნახაზი, ნახატი, თემატური პროექტი/პროექტები, საკურსო სამუშაო, საკურსო პროექტი, პრაქტიკის ანგარიში, სემინარი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი და ა. შ.) ჩაბარება.
8. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელმაც შუალედური შეფასების თითოეულ კომპონენტში დააგროვა არანაკლებ მინიმალური დადებითი შეფასებისა,

ამასთან შეასრულა და დროულად ჩააბარა პროგრამით განსაზღვრული სამუშაოები დოკუმენტური მასალის სახით.

9. საგანამანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების სწავლის შედეგების მიღწევის შეფასება უნდა დასრულდეს იმავე სემესტრში, რომელშიც იგი ხორციელდებოდა.

10. შეფასებისას გამოყენებული უნდა იყოს შედეგის შეფასებისათვის რელევანტური მეთოდი/მეთოდები და კრიტერიუმები.

11. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

ა.ა) (A) ფრიადი – 91-100 ქულა;

ა.ბ) (B) ძალიან კარგი – 81-90 ქულა;

ა.გ) (C) კარგი – 71-80 ქულა;

ა.დ) (D) დამაკმაყოფილებელი – 61-70 ქულა;

ა.ე) (E) საკმარისი – 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

ბ.ა) (FX) ვერ ჩააბარა – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

ბ.ბ) (F) ჩაიჭრა – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

12. FX-ის მიღების შემთხვევაში უნივერსიტეტი (დეკანატი, საგამოცდო ცენტრი) ვალდებულია დამატებითი გამოცდა დანიშნოს დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღეში.

13. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით გამოცდაზე მიღებული ქულათა რაოდენობა.

14. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.

15. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში, 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, ან თუ სტუდენტი ვერ გადალახავს დასკვნით/დამატებით გამოცდაზე მინიმალური კომპეტენციის ზღვარს, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

16. პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების (ლაბორატორიული სამუშაო, პრაქტიკული სამუშაო, ნახაზი, ნახატი, თემატური პროექტი/პროექტები, საკურსო სამუშაო, საკურსო პროექტი, პრაქტიკის ანგარიში, სემინარი, საბაკალავრო კვლევითი პროექტი/ნაშრომი და ა. შ.) შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად, ელექტრონულ უწყისში სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდეგ, სესიებამდე სამი კვირის განმავლობაში გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა (შემდგომში – დოკუმენტური მასალის ფანჯარა) სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით. იგი დაიხურება მომდევნო კვირის ბოლოს.

17. დასკვნითი გამოცდის/დასკვნითი შეფასების/დაცვის უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დასკვნით გამოცდაზე გასასვლელად აუცილებელი ქულების დაგროვების ან/და დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად უწყისში სათანადო მონიშვნის არსებობის შემთხვევაში.

18. პედაგოგი ვალდებულია, მეცადინეობის დაწყებამდე გაიაროს ელექტრონული რეგისტრაცია, შევიდეს აუდიტორიაში და ჩაატაროს მეცადინეობა სილაბუსის შესაბამისად. ჯგუფის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, იგი ვალდებულია არ დატოვოს აუდიტორია 15 (თხუთმეტი) წუთის განმავლობაში, რის შემდეგაც ინფორმაცია უნდა მიაწოდოს დეკანატს და გააკეთოს აღნიშვნა რეგისტრაციის სისტემაში.

19. სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია, ელექტრონულ უწყისში შეიტანოს სტუდენტის მიერ მიღებული შეფასება; სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი ვალდებულია, უზრუნველყოს სათანადო სასწავლო მასალის მიწოდება და სტუდენტის მიერ შეფასების მიღების შესაძლებლობა იმ შემთხვევაშიც, თუ სასწავლო ცხრილის მიხედვით მეცადინეობის ან/და შეფასების ჩატარების გეგმური ვადა ემთხვევა უქმე დღეს; აღნიშნულის რეალიზაციისთვის დასაშვებია დამატებითი მეცადინეობის/შეფასების ჩატარება. თემების გადანაწილება ან სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის ნორმალურ მსვლელობას.

20. (ამოღებულია)

21. პრაქტიკა, რომლის ჩატარების ვადა სააუდიტორიო მეცადინეობების ჩატარების ვადას არ ემთხვევა, შეფასდება სილაბუსში აღწერილი და სწავლების დეპარტამენტში შეთანხმებული წესით, „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის №3 ბრძანების მოთხოვნათა შესაბამისად.

II. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი

1. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს იმავე ან მომდევნო სემესტრში, რომელშიც სტუდენტი დაასრულებს მასზე მუშაობას. დისერტაცია, სამაგისტრო პროექტი/ნაშრომი, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევარი ან სხვა სამეცნიერო პროექტი/ნაშრომი უნდა შეფასდეს ერთჯერადად (დასკვნითი შეფასებით).

2. სამაგისტრო პროექტის/ნაშრომის, შემოქმედებითი/საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ნაშრომის შეფასება შეიძლება პირველი მუხლის მე-11 პუნქტით ან მეორე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული სისტემით.

3. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის/კომპონენტების შეფასების სისტემაა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

4. „არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ შეფასების მიღების შემთხვევაში, დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

5. მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტისათვის (FX) – „ვერ ჩააბარა“ ან „არადამაკმაყოფილებელი“ (insufficient) შეფასების მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო (F) „ჩაიჭრა“ ან „სრულიად არადამაკმაყოფილებელი“ (sub omni canone) შეფასების შედეგის მიღების შემთხვევაში, მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.

6. პროგრამით განსაზღვრული სამუშაოების (პროსპექტუსი, თეორიული-ექსპერიმენტული კვლევა/კოლოკვიუმი, სამაგისტრო საკვალიფიკაციო ნაშრომი და ა.შ., გარდა დოქტორანტურის კომპონენტისა „დისერტაციის დასრულება და დაცვა“) შესრულების და შესაბამისი დოკუმენტური მასალის ჩაბარების აღსანიშნავად, ელექტერონულ უწყისში სააუდიტორიო მეცადინეობების დასრულების შემდეგ, სესიებამდე სამი კვირის განმავლობაში გაიხსნება შესაბამისი ფანჯარა სათანადო მონიშვნის გაკეთების მიზნით. იგი დაიხურება მომდევნო კვირის ბოლოს.

7. დოქტორანტურის კომპონენტში – „დისერტაციის დასრულება და დაცვა“ უწყისში დოკუმენტური მასალის ფანჯრები გაიხსნება მე-9 სასწავლო კვირის დასაწყისში და დაიხურება სადისერტაციო საბჭოში დისერტაციის ავტორეფერატის წარდგენის ბოლო ვადის მომდევნო კვირის ბოლოს, ხოლო შესაბამისი დასკვნითი შეფასების (დაცვის) უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დოკუმენტური მასალის (დისერტაციის) ჩაბარების აღსანიშნავად, უწყისში სათანადო მონიშვნის არსებობის შემთხვევაში.

8. მაგისტრატურის კომპონენტში – „სამაგისტრო ნაშრომის დასრულება და დაცვა“ დასკვნითი შეფასების (დაცვის) უჯრა გაიხსნება სესიების პერიოდში, სტუდენტის მიერ დოკუმენტური მასალის (სამაგისტრო ნაშრომის) ჩაბარების აღსანიშნავად, უწყისში სათანადო მონიშვნის არსებობის შემთხვევაში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

. . . . . ფაკულტეტის

№ . . . . აკადემიური ჯგუფის სტუდენტთა სასწავლო კურსის შეფასების ელექტრონული უწყისი №

სწავლების წელი: ☐ სემესტრი: ☐ სასწავლო წელი: ☐

სწავლების საფეხური: ❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა ❑ დოქტორატურა

სასწავლო კურსის დასახელება:

წამყვანი პროფესორი

ECTS კრედიტი: ☐

სწავლების ფორმა და კვირეული დატვირთვა, სთ :

ლექცია: ☐ პრაქტიკული: ☐ ლაბორატორიული: ☐ თემატური პროექტი: ☐

პრაქტიკა: ☐ სემინარი: ☐ საკურსო პროექტი\ სამუშაო: ☐ სხვა: ☐

№	გვარი, სახელი	მიმდინარე დასწრება	ჯამური დასწრება	მიმდინარე აქტივობა/კვირა																			გამოცდები / კვირა			საბოლოო შეფასება	
				I	II	III	IV	V	VI	VII	VIII	IX	X	XII	XIII	XIV	XV	XVI	XI	XVII-XIX	XVII-XIX					ქულა	აღნიშვნა
																			თემატური პროექტი 1	თემატური პროექტი 2	დოკუმენტური მასალა	შუასემესტრული	დასკვნითი	დამატებითი			
-	მაქსიმალური ქულა																										
1																											
2																											

სასწავლო კურსის წამყვანი პროფესორი	.....	.....	.....	ფაკულტეტის დეკანი
	ინიც. და გვარი	*ხელმოწერა*	*თარიღი*	
დეპარტამენტის უფროსი	.....	.....	.....	.....
	ინიც. და გვარი	*ხელმოწერა*	*რეგ.№*	*თარიღი*	*ინიც. და გვარი*	*ხელმოწერა*